საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კართსოფელი

კართსოფელი, (ყოფ. კ ა რ თ ა ყ ა უ), სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), თრუსოს ხეობაში, მდ. თერგის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2260 მ, სტეფანწმინდიდან 38 კმ. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

სოფელში ექვსი კოშკი დგას. ამათგან ორი მის დას. ნაწილშია, ხოლო ოთხი – აღმ-ით. ყველა კოშკი თითქმის ერთი და იმავე პერიოდისაა. მათი ქვედა ნაწილი ყრუა. პირველი სართული კარით მაღლაა. ამ კოშკებიდან შედარებით უკეთ შემორჩენილია ხუთსართულიანი კოშკი, რ-იც აღმართულია კ-ის აღმ. ნაწილის სამხრ.-დას. კუთხეში. ყოველი სართული აღჭურვილია სათოფეებით. კოშკის ბოლო სართული გამორჩეულია. ბრტყელი გადახურვის ქვეშ არსებული სამხრ. კედელი (მთლიანად) და გვერდითი კედლების ერთი მესამედი ღიაა. ასეთი რამ სხვაგან არსად გვხვდება. სავარაუდოდ, ამგვარი კოშკიდან დაზვერვა ხდებოდა უფრო ფართო ფრონტით. ბანი, როგორც კოშკების უმრავლესობაში, აქაც საბრძოლო დანიშნულების არ უნდა ყოფილიყო. იგი ხის კოჭებზე ფიქლით იყო გადახურული. კოშკს ამთავრებს სწორკუთხად შვერილი სალოდეები და სახურავის შვერილი ფილები ქუდივით ადევს. ნასოფლარის ექვსივე კოშკი შიგნით უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები, ხოლო ფასადები – შედარებით კარგად დამუშავებული ქვით. კოშკების აგების თარიღი უცნობია, მაგრამ ანალოგიებით XVII ს-ს უნდა ეკუთვნოდეს.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002.